

საერთო თემა:
ყოველმომცველი, ვრცელი ქრისტიანული კულტურის
ერთი ახალი კაცობის

შეტყობინება მეექვსე

**სამყაროსეული ისტორია ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად –
ღვთაებრივი ისტორია ადამიანურ ისტორიაში უფლის გულის სურვილის
შესასრულებლად, რომ მიიღოს ერთი ახალი კაცი სინამდვილეში**

ადგილები წერილიდან: იოველ. 1:4; 3:11; ეფეს. 1:3-6; 2:15; 4:22-24; მიქ. 5:2; გამოცხ. 19:7-9

- I. სამყაროში არის ორი ისტორია: ადამიანის ისტორია, ადამიანური ისტორია, და ღმერთის ისტორია, ღვთაებრივი ისტორია; პირველი შეიძლება შევადაროთ გარეგნულ ნაჭუჭს, ხოლო უკანასკნელი – ბირთვის ნაჭუჭში – შდრ. იოველ. 1:4:
- ა. ღვთაებრივი ისტორია ადამიანურ ისტორიაში გახსნილია ბიბლიაში საკმაოდ დეტალურად; ღმერთის ისტორია არის ჩვენი ისტორია, რადგან ღმერთი დაკავშირებულია ჩვენთან:
 - 1. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ღმერთის ისტორია მარადისობაში წარსულში იყო მომზადება ღმერთის მოძრაობისათვის, იმ მიზნით, რომ ის დაკავშირებული ყოფილიყო ადამიანთან:
 - ა) ღვთაებრივი ისტორია დაიწყო მარადიული ღმერთისგან და მისი სახლმშენებლობიდან; თავისი სახლმშენებლობის თანახმად, ღმერთს სურს, რომ ჩანერგოს თავისი თავი ადამიანში, რომ იყოს ერთი ადამიანთან, რათა იყოს სიცოცხლე, სასიცოცხლო შეწევნა და ყველაფერი ადამიანისათვის, და რომ გახადოს ადამიანი თავისი გამოსატყულება – ეფეს. 3:9-10; 1:10; დაბ. 1:26; 2:9
 - ბ) ღმერთმა თავის ღვთაებრივ სამებაში ჩაატარა თათბირი და მიიღო გადაწყვეტილება ქრისტეს უკიდურესად მნიშვნელოვან სიკვდილთან დაკავშირებით, ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად – საქმე. 2:23.
 - გ) მეორე ღვთაებრივ სამებაში ემზადებოდა, რომ განეხორციელებინა თავისი „გამოსვლები“ მარადისობიდან დროში, რათა დაბადებულიყო ბეთლემში, როგორც ადამიანი – მიქ. 5:2.
 - დ) ღმერთმა აკურთხა ქრისტეში მორწმუნეები სულიერი კურთხევებით ზეციურ ფარგლებში ქვეყნიერების შექმნამდე – ეფეს. 1:3-6.
 - 2. ღმერთის ისტორია ადამიანში დაიწყო განკაცებიდან და გაგრძელდა მისი ადამიანური ცხოვრების, ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების პროცესებით; ოსიას 11:4-ში ნათქვამია, რომ ეს არის ადამიანის საკვრელები, სიყვარულის კავშირები:

- ა) ღვთაებრივი ისტორია, ღმერთის მოძრაობა ადამიანში, ხორციელდება გამზადებული ქრისტეს, ღმერთკაცის, როგორც ნიმუშის მიერ, იმ მიზნით, რომ მიიღოს ახალი კაცი, რომელიც დასრულდება ახალ იერუსალიმში, დიად ღმერთკაცში, ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის საბოლოო აღსრულებაში.
- ბ) თავისი განკაცებისა და ადამიანური ცხოვრების მეშვეობით ქრისტემ უსასრულო ღმერთი მოიტანა სასრულ ადამიანში, შეაერთა და შეურწყა სამერთიანი ღმერთი სამნაწილოვან ადამიანს და გამოსატა თავის ადამიანობაში უხვი ღმერთი მის მდიდარ თვისებებში თავისი კეთილსურნელოვანი სათნოებების მეშვეობით.
- გ) ქრისტეს ჯვარცმა იყო ჩამნაცვლებელი სიკვდილი, ყოვლისმომცველი სიკვდილი, ყოვლისმომცველი იურიდიული გამოსყიდვა, რომელმაც ბოლო მოუღო ძველ ქმნილებას და მოაგვარა ყველა პრობლემა (იოანე 1:29); თავის ჯვარცმაში მან გამოისყიდა ყველაფერი, რაც შექმნილი იყო ღმერთის მიერ და დაეცა ცოდვაში (ებრ. 2:9; კოლ. 1:20), შექმნა (ჩასახა) ახალი კაცი თავისი ღვთაებრივი ელემენტის მეშვეობით (ეფეს. 2:15) და გამოათავისუფლა თავისი ღვთაებრივი სიცოცხლე თავისი ადამიანობის გარსიდან (იოანე 12:24; 19:34; ლუკა 12:49-50).
- დ) თავის აღდგომაში ის დაიბადა როგორც ღმერთის პირმშო ძე (საქმე. 13:33; რომ. 1:4; 8:29), გახდა მაცოცხლებელი სული (1 კორ. 15:45ბ) და ხელახლა შვა მილიონობით ადამიანი, როგორც ღმერთის ძეები – ქრისტეს სხეულის ასოები და ერთი ახალი კაცის, ეკლესიის, შემადგენელი ნაწილები (1 პეტ. 1:3; კოლ. 3:10-11).
- ე) ის ავიდა ზეცაში და შემდეგ ჩამოვიდა როგორც სული, რათა წარმოექმნა ეკლესია, როგორც ერთი ახალი კაცი სამერთიანი ღმერთის ერთობლივი გამოსატულებისათვის – იოველ. 2:28-32; საქმე. 2:1-4, 16-21.

- ბ. ამრიგად, ეკლესია, როგორც ერთი ახალი კაცის სინამდვილე, ასევე არის ღვთაებრივი ისტორიის ნაწილი, სიღრმისეული ისტორია ღვთაებრივი საიდუმლოსი გარეგნული ადამიანური ისტორიის შიგნით; ღვთაებრივი ისტორიის ამ ნაწილის ბოლოს ქრისტე დაბრუნდება თავის გამარჯვებულებთან, როგორც თავის ჯვართან, ერთად (იოველ. 1:4; 3:11), რათა დაამარცხოს ანტიქრისტე და მისი ჯარი.
- გ. ამის შემდეგ დადგება ათასწლოვანი სამეფო; საბოლოოდ ეს სამეფო მიაღწევს დასრულებას ახალ იერუსალიმში ახალ ცასა და ახალ მიწაზე; ახალი იერუსალიმი იქნება საბოლოო, დამასრულებელი, ეტაპი ღმერთის ისტორიისა.

II. პეტრესთან („თევზის ჭერის მსახურება“), პავლესთან (ამშენებელი მსახურება) და იოანესთან (დამმკემსავი მსახურება) დაკავშირებით ჩვენ ვხედავთ უფლის გულის სურვილს, რომ მიიღოს ერთი ახალი კაცი:

- ა. ღმერთმა გამოიყენა პეტრე ორმოცდამეათე დღეს, რათა მოეყვანა მრავალი მორწმუნე იუდეველთაგან (საქმე. 2:5-11); გარდა ამისა,

კორნელიუსმა მიიღო ხილვა ლოცვაში (10:30), და პეტრემ ასევე მიიღო ხილვა ლოცვაში (მუხ. 17, 19), რისი წყალობითაც განხორციელდა ღმერთის გეგმა და მოძრაობა (მუხ. 9ბ-14, 27-29), რომლებიც დაკავშირებული იყო წარმართების მოპოვებასთან ერთი ახალი კაცის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

- ბ. ეფეს. 2:14-15-ში პავლე გვიხსნის, რომ ქრისტემ იუდეველებისა და წარმართებისაგან შექმნა ერთი ახალი კაცი, მის მიერ ახალი კაცის შემქმნელი სიკვდილის მეშვეობით (შდრ. 4:22-24); 1 კორ. 12:13-ში პავლე ამბობს, რომ ჩვენ ყველანი მოვინათლეთ ერთ სხეულში, „იუდეველები და ბერძენები“; გალ. 3:27-28-ში პავლე ამბობს, რომ ისინი, ვინც ქრისტეში არიან მონათლული, ქრისტეთი შეიმოსნენ, და „არ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი“; კოლ. 3:10-11-ში პავლე ამბობს, რომ ახალ კაცში არ არის ადგილი იუდეველისა და ბერძენისათვის.
- გ. იოანე ამბობს, რომ უფალმა თავისი სისხლით იყიდა ადამიანები „ყოველი მუხლიდან, და ენიდან, და ხალხიდან, და ტომიდან“ (გამოცხ. 5:9); ეს გამოსყიდულები შეადგენენ ეკლესიას, როგორც ერთ ახალ კაცს; იოანეს წყალობით ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ ეკლესიები არის ოქროს სასანთლეები (1:11-12), და საბოლოოდ ეს სასანთლეები ხდებიან ახალი იერუსალიმი; სასანთლეებში და ახალ იერუსალიმში ჩვენ აღარ ვხედავთ არანაირ განსხვავებას ადამიანებს შორის.
- დ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ყოველდღიურად უნდა მოვიშორეთ ძველი კაცი და შევიმოსოთ ახალი კაცით, იმის წყალობით, რომ ვსვამთ ერთ სულს (1 კორ. 12:13), რათა განვახლდეთ ჩვენი გონების სულში ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროში, რათა განხორციელდეს უფლის გულის სურვილი, რომ მიიღოს ერთი ახალი კაცი სინამდვილეში (ეფეს. 4:22-24).

III. ღვთაებრივ ისტორიასთან დაკავშირებულია ახალი ქმნილება – ახალი კაცი ახალი გულით, ახალი სულით, ახალი სიცოცხლით, ახალი ბუნებით, ახალი ისტორიითა და ახალი დასრულებით – ჰიმნ. 12; ეზეკ. 36:26; 2 კორ. 3:16; მათე 5:8; ტიტ. 3:5:

- ა. ღვთაებრივი ისტორია, ისტორია ღმერთისა ადამიანში, ვითარდებოდა ქრისტეს განკაცებიდან მის ამალგებამდე, რის შედეგადაც ქრისტე გახდა მაცოცხლებელი სული, და შემდეგ გრძელდება ქრისტეს შინაგანი დამკვიდრებით ჩვენში, და მოიცავს ღმერთისმიერ ორგანულ გადარჩენას – ხელახლა შობას, გაწმიდანებას, განახლებას, გარდასახვას, დამსგავსებასა და განდიდებას, – რასაც მიყვავართ ჩვენ ერთი ახალი კაცის სრულ სინამდვილემდე და გვხდის ჩვენ ქრისტეს დიდებულ პატარძლად – ეფეს. 4:22-24; რომ. 5:10; გამოცხ. 19:7-9.
- ბ. ახლა ჩვენ უნდა დაუხვავთ საკუთარ თავს ასეთი კითხვა: „ღვთაებრივ ისტორიაში ვცხოვრობთ თუ მხოლოდ ადამიანურ ისტორიაში ვცხოვრობთ?“
 - 1. ჩვენ ყველანი დავიბადეთ ადამიანურ ისტორიაში, მაგრამ ჩვენ დავიბადეთ ხელახლა, ხელახლა ვიშვით ღვთაებრივ ისტორიაში; თუ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყნიერებაში, მაშინ ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანურ ისტორიაში; ხოლო თუ ჩვენ ვცხოვრობთ ეკლესიაში, როგორც ერთი ახალი კაცის სინამდვილეში, მაშინ ჩვენ

- ვცხოვრობთ ღვთაებრივ ისტორიაში; ეკლესიურ ცხოვრებაში ღმერთის ისტორია არის ჩვენი ისტორია; ახლა ორ მხარეს – ღმერთსა და ჩვენ – გვაქვს ერთი ისტორია, ღვთაებრივი ისტორია.
2. ჩვენ ვაქვით უფალს იმისათვის, რომ ვიმყოფებით ღვთაებრივ ისტორიაში, განვიცდით იღუმად, ღვთაებრივ რაღაცებს და ვტკბებით ამ ყველაფრით ჩვენი ორგანული გადარჩენისათვის და უფლის გავრცელებისათვის, მშვიდობის სახარების გავრცელების მეშვეობით მთელ დასახლებულ დედამიწაზე (ეფეს. 2:14-17; 6:15; შდრ. მათე 24:14), რათა გავხდეთ ერთი ახალი კაცი სინამდვილეში – უფლის გამარჯვებული პატარძალი.